

შპს სჯს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება 31.12.2019 წლის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ძირითადი საქმიანობა.....	7
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
სასამართლო დავები	15
საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	15

შპს სჯს ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	01.01.2018	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	3	1,325,650	1,205,349	988,396
არამატერიალური აქტივები		3,194	1,944	-
სულ გრძელვადიან აქტივები		1,328,845	1,207,293	988,396
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		27,243	21,500	-
გადახდილი ავანსები	4	37,188	18,715	3,224
სავაჭრო მოთხოვნები	4	2,490,536	2,765,877	3,871,351
ფული და ფულის ექვივალენტები	5	1,343,180	1,719,275	2,661,516
სულ მიმდინარე აქტივები		3,898,147	4,525,367	6,536,090
სულ აქტივები		5,226,992	5,732,660	7,524,486
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		105,200	105,200	105,200
გაუნაწილებელი მოგება		4,270,319	4,591,945	5,475,006
სულ კაპიტალი		4,375,519	4,697,145	5,580,206
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	315,586	550,193	635,646
გადასახდელი ხელფასები	7	505,835	455,344	717,437
საგადასახადო ვალდებულება		30,052	29,979	591,197
სულ მიმდინარე ვალდებულებები		851,474	1,035,515	1,944,280
სულ ვალდებულებები		851,474	1,035,515	1,944,280
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,226,992	5,732,660	7,524,486

ნოველა ოგაძე
ფინანსური მენეჯერი

21 სექტემბერი 2020
ბათუმი, საქართველო

თამარ ოდლიშვილი
გენერალური დირექტორი

21 სექტემბერი 2020
ბათუმი, საქართველო

შპს სჯეს ჯორჯია
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2019
შემოსავალი რეალიზაციიდან		9,970,186	12,662,980
მთლიანი მოგება		9,970,186	12,662,980
საოპერაციო ხარჯები		(1,825,380)	(2,023,178)
ხელფასის ხარჯი		(3,329,469)	(3,632,927)
ცვეთის ხარჯი		(435,461)	(385,471)
ადმინისტრაციული ხარჯი		(536,525)	(371,245)
საოპერაციო მოგება		3,843,351	6,250,159
არასაოპერაციო შემოსავალი		412,255	92,970
არასაოპერაციო ხარჯი		(9,083)	(178,628)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(27,285)	-
მოგება-ზარალი საკუთრსო სხვაობიდან		174,729	95,770
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		550,615	10,112
მოგება დაბერგვამდე		4,393,966	6,260,271
მოგების გადასახადი		(611,340)	(669,193)
წმინდა მოგება		3,782,626	5,591,078
რეზერვების შემცირება			
სულ სრული შემოსავალი		3,782,626	5,591,078

 ნოველა ოგაძე
 ფინანსური მენეჯერი

21 სექტემბერი 2020
 ბათუმი, საქართველო

 თამარ ოღლიშვილი
 გენერალური დირექტორი

21 სექტემბერი 2020
 ბათუმი, საქართველო

შპს სჯეს ჯორჯია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	105,200	4,270,319	4,375,519
წმინდა მოგება დივიდენდის განაწილება		3,782,626 (3,461,000)	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	105,200	4,591,945	4,697,145
წმინდა მოგება დივიდენდის განაწილება		5,591,078 (4,708,016)	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	105,200	5,475,006	5,580,206

 ნოველა ოგაძე
 ფინანსური მენეჯერი

21 სექტემბერი 2020
 ბათუმი, საქართველო

 თამარ ოღლიშვილი
 გენერალური დირექტორი

21 სექტემბერი 2020
 ბათუმი, საქართველო

შპს სჯს ჯორჯია
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ კორექტირება:	3,782,626	5,591,078
მოგების გადასახადის ხარჯი	611,340	669,193
ცვეთის ხარჯი	435,461	385,471
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(174,729)	(95,770)
ანარიცხების დარიცხვა/ამოტრიალება	102,248	(39,768)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	4,756,946	6,510,204
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(228,397)	(969,003)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	5,743	21,500
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	18,504	15,491
ცვლილებები გადასახადებში	(611,414)	(107,975)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	(49,582)	262,093
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	225,381	82,689
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4,117,181	5,815,000
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(313,909)	(166,574)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(313,909)	(166,574)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(3,461,000)	(4,708,016)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,461,000)	(4,708,016)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	33,822	1,831
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	376,095	942,241
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,343,180	1,719,275
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	1,719,274	2,661,516

ნოველა ოგაძე
ფინანსური მენეჯერი

21 სექტემბერი 2020
ბათუმი, საქართველო

თამარ ოღლიშვილი
გენერალური დირექტორი

21 სექტემბერი 2020
ბათუმი, საქართველო

ძირითადი საქმიანობა

შპს „სჯს ჯორჯია“ (შემდგომში ”ორგანიზაცია”) დაფუძნდა 1997 წლის 10 დეკემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის ვაკის რაიონის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, გორგასლის ქ. N42. კომპანიის დამფუძნებელი და 100 პროცენტისაა წილის მფლობელი არის უცხოური საწარმო ესჯიეს ეს ეი, შვეიცარია.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ინსპექტირება და აუდიტი. ინსპექტირება ხორციელდება სხვადასხვა სახის პროდუქტის, ისეთების როგორიცაა ნავთობ პროდუქტები, ხორც-პროდუქტები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ქვა-ნახშირი, ოქრო და სასუქების ინსპექტირება. ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურებები მოიცავს რაოდენობრივ, ხარისხობრივ, თვისობრივ და ვიზუალური ინსპექტირება.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.8677
ლარი/1 ევრო	3.0701	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო ვალუები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება დარეზერვებულია შესაბამისი სააღრიცხო პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნების ვადიანობის ანალიზს, წარსულ გამოცდილებას და შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით დარეზერვებას.

შპს სჯს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული ვადაგადაცილებული მოთხოვნების და მისი შესაბამისი ანარიცხები დეტალურად განხილულია სავაჭრო მოთხოვნების ახსნა-განმარტებითი შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრს და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს.

მოგების გადასახადი

2017 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, როდესაც 2017 მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასებით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; შესაბამისი ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯად აღიარებული მოგების გადასახადი მოიცავს იმ გადასახადებს, რომლის გადახდაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში განაწილებულ დივიდენდებსა და სხვა გამოუქვითავ გადასახდელებზე. პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაზე დარიცხული გადასახადი აღიარდება ბალანსის შემდგომ პერიოდში, რა დროსაც მენეჯმენტი გაანაწილებს აკუმულირებულ ფინანსურ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. გასულ საანგარიშო პერიოდში კომპანიის მენეჯმენტმა შეცვალა ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო პერიოდები, ვინაიდან ბალანსზე რიცხული ქონების ნაწილი თითქმის სრულად იყო გაცვეთილი მაგრამ ხდებოდა მისი საოპერაციო საქმიანობაში გამოყენება. მენეჯმენტმა გადაიანგარიშა აკუმულირებული ცვეთის ხარჯები და აუდიტირებული პერიოდის შემომავალ ნაშთად დარიცხულია ის ამორტიზებული ღირებულება რომელის აკუმულირებაც უნდა მომხდარიყო რეალური საექსპლუატაციო ვადის გამოყენებით.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

• შენობები	15
• მანქანა-დანადგარები	10-20
• სატრანსპორტო საშუალებები	10-20
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო

შპს სჯეს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდი მიკუთვნებულია იმ საანგარიშო პერიოდს რომელ პერიოდშიც მოხდა მისი განაწილება.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის შემოსავლების არსებითი ნაწილი მოიცავს არარეზიდენტი საწარმოებისათვის გაწეული მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია შესაბამისი ინვოისის საფუძველზე. პერიოდის შემოსავლები არ არის კლასიფიცირებული გაწეული მომსახურების სახეობების შესაბამისად.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის და საოპერაციო ხარჯებს, რომლის გაწევაც ხორციელდება შემოსავლების მისაღებად.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

პერიოდის ხარჯების ნაწილი არ არის კლასიფიცირებული ხარჯების შინაარსის შესაბამისად, ისევე როგორც რიგ შემთხვევაში არ დასტურდება ხარჯების მიზნობრიობა შემოსავლებთან მიმართებაში.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შპს სჯს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 01/01/2018	347,783	3,010,909	99,219	127,321	685,272	249,757
აკუმულირებული ცვეთა	(250,671)	(2,241,109)	(85,541)	(99,003)	(305,785)	(212,504)
ბალანსი 01/01/2018	97,112	769,800	13,679	28,319	379,488	37,254
დანამატები		333,666		7,528		
აქტივების ჩამოწერა		(256,683)	(39,591)	(3,859)		
ცვეთა პერიოდისათვის	(16,639)	(287,646)	(2,569)	(14,034)	(106,772)	(6,550)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა		233,348	35,992	3,508		
ბალანსი 31/12/2018	80,472	792,485	7,510	21,461	272,716	30,704
დანამატები	1,915	174,146		53,061	43,164	66,692
აქტივების ჩამოწერა		(125,417)	(4,286)	(13,655)	(55,404)	(19,728)
ცვეთა პერიოდისათვის	(20,438)	(240,096)	(2,128)	(19,499)	(96,313)	(8,392)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა				5,264	43,558	603
ბალანსი 31/12/2019	61,950	601,119	1,097	46,633	207,719	69,879
ბალანსი 31/12/2017	97,112	769,800	13,679	28,319	379,488	37,254
ბალანსი 31/12/2018	80,472	792,485	7,510	21,461	272,716	30,704
ბალანსი 31/12/2019	61,950	601,119	1,097	46,633	207,719	69,879

შპს სჯს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,887,735	3,926,897
გადახდილი ავანსები	19,843	3,224
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(122,986)	(55,547)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2,784,592	3,874,575

შენიშვნა 5 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	12/31/2018	12/31/2019
ლარი საბანკო ანგარიშებზე	332,670	663,549
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,386,604	1,997,966
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	1,719,275	2,661,516

შენიშვნა 6 - სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2018	12/31/2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	522,733	598,851
მიღებული ავანსები	27,460	36,794
სულ მიმდინარე ვალდებულებები	550,193	635,646

შენიშვნა 7 - გადასახდელი ხელფასები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელფასო ვალდებულებები მოიცავს დეკემბრის თვის გაუცემელ სახელფასო ვალდებულებებს და წლის შედეგების შეჯამებით გადასახდელ ბონუსებს:

	12/31/2018	12/31/2019
გადასახდელი ხელფასები	242,419	196,855
გასაცემი ბონუსები	212,925	520,582
სულ სახელფასო ვალდებულებები	455,344	717,437

შპს სჯს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
შენიშვნა 8 -შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავლები არ არის იდენტიფიცირებული გაწეული მომსახურების სახეობების შესაბამისად და მოიცავს:

	12/31/2018	12/31/2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	9,970,186	12,662,980
სულ შემოსავალი	9,970,186	12,662,980

შენიშვნა 9 - საოპერაციო ხარჯები

პერიოდის საოპერაციო ხარჯები მოიცავს იმ პირადპირ დანახარჯებს რომელიც დაკავშირებულია შემოსავლის მიღებასთან,

	12/31/2018	12/31/2019
სახარჯი მასალები	242,168	310,616
საწვავის ხარჯი	46,553	50,598
მივლინების ხარჯი	84,957	87,903
საფოსტო ხარჯი	194,509	351,022
საკონსულტაციო და ქვეკონტრაქტორების ხარჯი	512,823	167,006
საინსპექციო ხარჯი	498,800	833,753
სამეურნეო ხარჯი	78,431	100,746
სპეც-ტანსაცმელი და ინვენტარი	29,972	44,528
სატრანსპორტო ხარჯი	34,919	29,616
მიმდინარე მოთხოვნების ანარიცხები	102,248	47,390
სულ საოპერაციო ხარჯი	1,825,381	2,023,178

შენიშვნა 10 - ადმინისტრაციული ხარჯები

პერიოდის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	12/31/2018	12/31/2019
საკანცელარიო საქონელი	15,747	10,726
კომპიუტერის მოწყობილობის ხარჯები	2,244	4,078
სამეურნეო საქონელი	16,608	15,109
საწარმოო ინვენტარის შეძენა	41,379	49,593
დაზღვევის ხარჯები	154,158	111,102
ბანკის საკომისიო ხარჯები	8,268	9,632
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	40,861	58,308
კომუნალური ხარჯები	22,831	23,614
საკომუნიკაციო ხარჯები	25,760	22,761
საიჯარო ხარჯი	140,872	167,963
სხვა ხარჯი	67,797	(101,640)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	536,525	371,245

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

მიღებული მომსახურება		
	გადახდილი თანხა	მესყიდული მომსახურება
SGS GROUP MANAGEMENT	81,797.80	65,401.52
SGS UKRAINE LTD	23,860.49	23,860.49
SGS VOSTOK LTD	31,720.30	40,328.62
SGS ESTONIA LTD	50,283.98	52,838.97
SGS AZERI LTD	9,395.35	9,395.35
SGS KAZAKHSTAN LTD	32,479.98	42,115.45
SGS BELGIUM	8,316.90	8,316.90
SGS NEDERLAND B.V.	461,109.30	509,832.30
SGS GULF LTD	-	4,744.62
SGS MULTILAB (FRANCE)	6.58	334.59
SGS UK (United Kingdom)	54,584.00	36,245.54
SGS FRANCE	16,505.97	27,076.79
SGS LAROUTE	11,209.82	11,209.82
SGS AUSTRALIA	4,307.98	6,108.47
SGS NORTH AMERICA INC	7,614.56	7,233.40
SGS ITALIA	68,313.09	68,313.09
SGS SUPERVIZE GOZETME	3,804.90	4,061.66
SGS KLAIPEDA LTD	20,569.78	20,569.78
SGS INSTITUT FREZENIUS	4,883.07	4,883.07

შპს სჯს ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

გაწეული მომსახურება		
	გაწეული მომსახურება	მიღებული ანაზღაურება
SGS GENEVA S.A.	3,677,980.24	2,682,271.48
SGS GULF LTD	273,644.68	4.56
SGS KAZAKHSTAN	12,538.72	12,538.72
SGS VOSTOK LTD	4,094.99	2,087.60
SGS CONTROL Co.m.b.H.	8,960.83	15,205.68
SGS BELGIUM NV	-	-
SGS ITALIA	-	8,666.59
SGS Supervise Gozette Etud Kontrol Servisleri A.S.	13,136.10	13,136.10
SGS Greece SA	19,011.54	16,171.14
SGS UK	13.15	3.23
SGS AZERI	23,932.93	8,502.52
SGS Spain	486.75	5,257.67
SGS del Peru	320.16	-
SGS EGIPT	113.54	-
SGS MOLDOVA	1,617.60	1,617.60
SGS UKRAINE LTD	1,285.22	1,916.90
SGS CHILE LTD	1.9	1,897.88
SGS ROMANIA SA	8,550.82	8,550.82
SGS NEAR EAST FZE	41,700.20	175,678.86
SGS AUSTRIA CONTROL CO	2,078.26	2,078.26
SGS ASHBY LTD	488.05	488.05
SGS INSTITUT FRESENIUS	970.83	970.83
SGS BULGARIA LTD	1,615.19	1,615.19
SGS ICS (INTERNATIONAL CERTIFICATION SERVICES)	5,543.94	5,543.94
SGS LATVIA	26,006.45	26,006.45
SGS DENMARK A/S	1,884.96	23.82
SGS BISHKEK LLC	11,440.73	33.02

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. მენეჯმენტი ასევე არ ფლობს ინფორმაციას მოსალოდნელ პრეტენზიებთან დაკავშირებით რომელმაც შესაძლოა წარმოქმნას სასამართლო დავა და გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.